წინასახელშეკრულებო ურთიერთობის გავლენა ხელშეკრულების დადებისას ქართული და უნიფიცირებული სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი კვლევა)

ნინო ციხითათრიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის კერძო (ბიზნეს) სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია სულხანიშვილი,

სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგეს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლა მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებულია სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ციხითათრიშვილი

15.02.21

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება წინასახელშეკრულებო ეტაპის მოწესრიგებას და პასუხისმგებლობის დაწესების საკითხს ქართული და უნიფიცირებული სამართლის მიხედვით. წინასახელშეკრულებო ურთიერთობები დღესდღეობით ფართომასშტაბიან სახეს იღებს ბიზნეს-გარიგებებში, რის გამოც გართულებულია კონტრაჰენტებს შორის სამართლებრივი მდგომარეობა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არ არის სისტემატიზირებული ფორმით ჩამოყალიბებული წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებების სამართლებრივი ბუნება. საკითხის პრობლემურობას განაპირობებს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის განმსაზღვრელი პრინციპის[1] - ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვა წინმსწრებ ვალდებულებით ურთიერთობებთან მიმართებით. აგრეთვე, ცივილისტური სისტემის მამოძრავებელი პრინციპის - კეთილსინდისიერების როლი წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებებში და ბრალეულ ქმედებათა სამართლებრივი საფუძვლების დაწესების საკითხი. წინასახელშეკრულებო ეტაპი, რომელიც მხარეთა ნდობაზე დამყარებული ურთიერთობაა, სწორედ მათი სამართლებრივი სიკეთის დაცვის ბერკეტად შეგვიძლია მივიჩნიოთ გერმანულ სამართალში აღმოცენილი თეორია - Culpa in contrahendo[2](წინასახელშეკრულებო ბრალი).

ნაშრომის მიზანია, უკეთ წარმოაჩინოს წინასახელშეკრულებო ეტაპზე პასუხისმგებლობის დაწესების სტადნარტი, განსაზღვროს არაკეთილსინდისიერი მოლაპარაკებებების კონკრეტული საფუძვლები წინმსწრებ ვალდებულებით ურთიერთობებში და დაადგინოს ბალანსი სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის იდეასა და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებს შორის.

[1] სერგი ჯორბენაძე, „ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში“, (დის: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,2016),1.

[2] წინასახელშეკრულებო ბრალი. იხ: https://www.trans-lex.org/125100/_/kessler-friedrich-fine-edith-culpa-in-contrahendo-bargaining-in-good-faith-and-freedom-of-contract:-a-comparative-study-77-harvlrev-1963-64-at-401-et-seq/ (01.07.21)

ნაშრომში დასახელებული საკვლევი პრობლემის სიღრმისეული შესწავლისათვის გამოყენებულია:სისტემურ-სტრუქტურული, ემპირიული, შედარებით-სამართლებრივი, ისტორიული და ფორმალურ-ლოგიკური მეთოდები. სამაგისტრო ნაშრომში ყურადღება იქნება გამახვილებული განსხვავებული სამართლის სისტემებსა და საერთაშორისო აქტების შეხედულებების ურთიერთგამიჯვნის საკითხზე, რათა უზრუნველყოფილ იყოს შესაბამისი ნორმის მექანიზმის, ტექნიკისა და მეთოდიკის სწორად აღქმა.

ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ წინასახელშეკრულებო ურთიერთობის მოწესრიგება საქართველოში შესაძლებელია უნიფიცირებულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზით, ვინაიდან საერთაშორისო კანონმდებლობასთან შერწყმა უზრუნველყოფს ნორმების ინტერპრეტაციის და განმარტების დახვეწას, რაც ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის შექმნის უდავო გარანტია.

ძირითადი საძიებო სიტყვები: “Culpa in contrahendo” (წინასახელშეკრულებო ბრალი), წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებები, ხელშეკრულების თავისუფლება, კეთილსინდისიერების პრინციპი.

Abstract

The present paper is dedicated to the regulation of the pre-contractual stage and the issue of the assigning of liabilities per Georgian and unified legislation. Pre-contractual relationships are now taking on a large scale in business transactions, complicating the legal situation between the contractors.

The Civil Code of Georgia does not systematize the legal nature of pre-contractual negotiations. The problematic issue is due to the restriction of the freedom of the principle that determines the stability of civil turnover[3] - the contract - concerning the previously existing binding relations. Also, the role of the driving principle of the civilized system - good faith - in the pre-contractual negotiations and the issue of establishing the legal basis for culpable actions. The pre-contractual stage, which is a relationship based on the trust of the parties, can be considered as a lever for the protection of their legal goodness, a theory originated in German law - *Culpa in contrahendo*[4] (fault in conclusion of a contract).

The purpose of the paper is to better present the standard for setting the liabilities in the pre-contractual stage, to define the specific basis of unscrupulous negotiations in pre-contractual relations, and to establish a balance between the idea of the principle of contractual freedom and pre-contractual relations.

For a complete and in-depth study of each problem named in the paper, the following has been used: System-structural, empirical, comparative-legal, historical and formal-logical methods.

[3] სერგი ჯორბენაძე, „ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში“, (დის: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,2016),1.

[4] fault in conclusion of a contract. See: https://www.trans-lex.org/125100/_/kessler-friedrich-fine-edith-culpa-in-contrahendo-bargaining-in-good-faith-and-freedom-of-contract:-a-comparative-study-77-harvlrev-1963-64-at-401-et-seq/ 01.07.21.

The master's work will focus on the issue of the separation of views of different legal systems and international acts in order to ensure a correct understanding of the mechanism, technique, and methodology of the respective norm.

Studies have shown that pre-contractual relations in Georgia can be regulated through harmonization with unified law, as integration with international law ensures refined interpretation and definition of norms, which is an indisputable guarantee of unified judicial practice.

Key Words: Culpa in contrahendo (fault in conclusion of a contract), Precontractual negotiations, Contractual freedom, Good faith.